№ 120
ოთხშაბათი, 7 ივნისი, 1900 წ.

1877—1900

ივერია

№ 120
ოთხშაბათი, 7 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას ან წერა-კითხვ. გამოვრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲘ:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერიის“ ტელეფონი № 227

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲭᲘᲣᲠᲡ, ᲗᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲘᲡᲕᲐᲡ, ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲓᲒᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲕᲔ ᲗᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲪᲮᲕᲐᲛᲓᲔ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირის დღეების გარდ
ᲓᲘᲚᲘᲗ:

Თ. Ო. ᲯᲘᲯᲘᲜᲐᲫᲔ.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.
Ზ. Ზ. ᲛᲐᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ—შინაგანი —9—10 საათ.
Ი. Ჯ. ᲐᲑᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.
Მ. Ა. ᲠᲝᲙᲐᲠᲝᲕᲐᲜᲘ—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.
Ნ. Თ. ᲨᲣᲚᲘᲜᲘ—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.
Ა. Ნ. ᲨᲐᲑᲘᲚᲨᲕᲘ—თვალისა 12—1 საათ.
Მ. ᲚᲐ. ᲛᲐᲠᲙᲝᲕᲘᲩᲘ—12½—1½ საათ. სადისტაქრო.
Ი. ᲓᲐ. ᲒᲝᲒᲝᲗᲐᲫᲔᲒᲝᲕᲘ—სიფილისისა, ანისა და სასჩარდვისა—1½—2 საათ.
ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:
ᲓᲐ. Ა. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.
Ი. Ნ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი-4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲡᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ

ამ ზაფხულს იმლევა ქირით ბუნა იოსელიანის საკარაკო სახლების მეორე სართულში შვიდი ოთახი,

ყოველისავე მოწყობილობით. ქირის ან სხვა პირობების გაგებისათვის მსურველმა უნდა მიმართოს პირადად ან წერილით იმერეთის საებარქიო სანთლის საწყობში ნიკიფორე ბოლქვაძეს, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲨᲘ. (3—5.—1)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა
(ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲨᲘ, ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲦᲔᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ:

Ზ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათ. სადისტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ᲓᲐ ᲡᲐᲭᲐᲠᲓᲘᲡ ავადმყოფთმანი.
Თ. Თ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲜᲘᲐᲜᲘ—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
Ჯ. Ი. ᲒᲔᲚᲔᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
Ა. Ჯ. ᲙᲐᲠᲐᲯᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობითი:

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 საათ.
Თ. Თ. ᲛᲐᲡᲮᲘᲚᲐᲫᲔ—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ᲝᲣ. Ტ. ᲐᲠᲔᲕᲐᲜᲘᲢᲐᲫᲘ—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს ᲓᲐ გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲪᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲮᲝᲚᲘᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ,

საუფლისწულო უწყების შენობის ზემოდ, მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის აგებულ ახალ შენობის მასლობლად, დაᲔᲝᲤᲘᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲜᲐᲭᲠᲘᲡᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲬᲐ; ნაჭრებს შუა ქუჩებისათვის სწორე ადგილია დატოვებული, სიგანით 6 საჟენი. ეს ადგილი საცხოვრებლად საუკეთესოა: ჰაერ შშვენიერია და მრავალი წყაროა არის; ამას გარდა მოიპოვება ეოველგვარი მასალა შენობების აგებისათვის საჭირო: ქვიშა, ქვა, აგური და სამშენებელი თიხა. დასახლებულ ადგილის გვერდზედ სომეხთა ეკეკლესიაა, ხოლო შუა ადგილას აგებულ იქნება მართლ-მადიდებელთა ეკეკლესიაც. თითო ნაჭერი მიწისა შეიცავს 120-დგან 150 საჟენამდე. იყიდება ეს ნაჭრები შეღა ვთით და ფულის ნაწილ-ნაწილ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა
(ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲨᲘ, ᲕᲝᲠᲝᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲦᲔᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ:

Ზ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათ. სადისტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ᲓᲐ ᲡᲐᲭᲐᲠᲓᲘᲡ ავადმყოფთმანი.
Თ. Თ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
Ზ. Ი. ᲑᲐᲑᲐᲜᲐᲜᲘᲐᲜᲘ—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
Ჯ. Ი. ᲒᲔᲚᲔᲨᲕᲘᲚᲘ. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
Ა. Ჯ. ᲙᲐᲠᲐᲯᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობითი:

Ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ. 7½—8 საათ.
Თ. Თ. ᲛᲐᲡᲮᲘᲚᲐᲫᲔ—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ᲝᲣ. Ტ. ᲐᲠᲔᲕᲐᲜᲘᲢᲐᲫᲘ—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს ᲓᲐ გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ᲕᲗᲮᲝᲕᲗ,

ვინც იცოდეს მცოხნაეთ ᲯᲣᲨᲘᲡ ᲛᲘᲗᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ,—„ᲡᲘᲒᲝ“-ს, სახელი და ავრეთვე „ᲠᲘᲨᲘᲜᲒᲝᲓ“, „ᲚᲣᲩᲘᲐᲜᲘ ᲒᲝᲚᲘᲢ“, გამოგზავნონ „ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ რედაქციაში.

(5—122—5) ᲓᲘᲓᲘ ᲯᲔᲚᲐᲜᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲭᲘᲒᲪᲔᲛᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ.

ᲗᲣᲠᲥᲚᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲔᲯᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

ნ. Ა. ᲡᲐᲑᲐᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐ. Ნ. ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲕᲘᲡᲐ Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲨᲘ

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—5.—15)

ᲨᲔᲛᲝᲬᲕᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

„Ქ. Შ. ᲬᲘᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲔᲑᲡ:

№-მა—1 მანეთი, ა. გ. მამიკონოვმა—5 მ., №-მა—1 მ., თავ. ე. გ. ერისთავმა—5 მ., ა. ბ. ამბარდანოვმა—1 მ., ნ. ტერეგულოვმა—1 მან., არტ. ნუნუფაროვმა—10 მან., ივან შაიშელოვმა—5 მან., ცოტოცევმა—5 მან., როტინოვმა—3 მან.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი, გენერა-ლეიტ. ფრეზე ქუთაისიდგან ტფილისს დაბრუნდა.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი გუშინ, 6 ივნისს, გორის მაზრის დასათვალიერებლად წავიდა. უკან 12 ივნისს დაბრუნდება.

⁂ გუშინ, 6 ივნისს, სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე თავ. ივანე ჯორჯაძისა, მარიამ ტატულაშვილისა და მამედ ანტელაშვილისა, რომელთაც მარიამის ქმრის ტატულაშვილის მოკვლა ჰბრალდებოდათ. პირველად ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც დამნაშავედ იცნო სამივენი და მიუსაჯა: ჯორჯაძესა და ანტელაშვილს ათ-ათის წლით, ხოლო მარიამ ტატულაშვილისას 12 წლით კატორგაში გაგზავნა.

გასტუმრებით. პირობების გაგება შეიძლება მამულის ჰატრონთან, კ. ი. სვიმონოვისასთან: ვერა, კირპიჩნის ქუჩის მარჯვნივ, კირპიჩნის ფიწრო ქუჩა, სახლი № 16. (3—5.—3)

სამოსამართლო პალატამ, განიხილა რა ეს საქმე, დამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება. დაწვრილებით ამ საქმეს შემდეგ ნომერში გავაცნობთ მკითხველებს.

⁂ გუშინ-წინდელს საბჭოს სხდომაზედ ხულ 7 საქმე იქმნა განხილული. სხვათა შორის, დადგენილ იქმნა: ხორცის ფასი 10-დგან 8½ კაპ. დაწეულ იქმნას, საერობო გარდასახადის გაწერვა დამტკიცონ, ავქალის ქუჩის კონკის პატრონებს ნება მისცენ ტრამვაი უსახელო საზოგადოებას გადასცენ და სხ. დასასრულ სატყეო-სამდლისნო კომისიის თავმჯდომარედ ა. ა. ქალანთარი ამოირჩიეს და დანარჩენი საგნები შემდეგის კრებისათვის გადასდეს.

⁂ მთავარ-მართველის კანცელარიის გამმიჯნავ განყოფილების სამხედრო-საერო სამმართველოს ნაწილის მიწის მზომელნი ამ მდღეებში ქუთაისის გუბერნიასა, ყარსისა და დადეფსნის ოლქში მიდიან ადგილობრივ მიწების გასამიჯნავად.

⁂ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს ბ-ნს ჯაბადარს ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის მოხსენება წარუდგენია იმის შესახებ, თუ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას და წყლის გამყვან კანტორის წარმოება როგორ უნდა იქმნას უკეთესად შეცვლილი.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა ბ-ნმა აბელმა გუშინ-წინ, 5 ივნისს, უსახელო საზოგადოების ტრამვაის საქმის შესახებ ტფილისის ქალაქის მოურავს გ. გ. ევანგულოვსა, გამგეობის წევრთ ე. ე. ხოსროევსა და თავ. ა. მ. არღუთინსკიდოლგორუკოვსა და გამგეობის წევრად ნამყოფს ბ-ნს ივანენკოს ჩვენება ჩამოართვა.

⁂ ტფილისის საზოგადო განვითარების კურსების ლექტორთ და დამფუძნებელთ შაბათს, 3 ივნისს, დედათა პირველ გიმნაზიის შენობაში კრება ჰქონდათ და გარდასწყვეტეს, ეს საკეთილო საქმე კვლად განაგრძონ, მომავალს სამოსწავლო წელს გარდაწყვეტილია, რაც შეიძლება ადრე დაიწყონ მეცადინეობა, მაგალითად, 15 სექტემბრიდგან, პირველს კურსზედ ახალი მსურველნი მიიღონ და იმათთვის, ვინც მხოლოდ სამი სემესტრის განმავლობაში ისმენდა ლექციებს, მეოთხე სემესტრის ლექციებიც წაუკითხონ. ამისათვის ენკენისთვიდგან ამ დამატებითს კურსში რამდენიმე ახალი საგანი იქმნება შეტანილი,—მაგალ., ზოოლოგია, მინერალოგია, ტრიგონომეტრია და სხ.

⁂ რუსეთის გამოჩენილი მწერლები ანტონი პავლ. ძე ჩეხოვი და მაქსიმ გორკი (ნამდვილი გვარი ა. პეშკოვი) ამ ქამად ტფილისში არიან, „სევერნაია ნომრებში“. ჩამომხტარნი. იქვეა ჩამომხტარი ახალგაზდა მხატვარი ვასნეცოვი.

⁂ წყალდიდობისაგან წალეკილ რიყესა და დესმონოვის მოედანზედ ამ ქამად მთელი ტბები და გორები დგას წყლისა და ქვიშა-ნაგვისა. სარდაფები ხომ მთლად სავსეა. ეკვი არ არის, ეს უსუფთაობა თავს იჩენს და რაიმე სენს გაავრცელებს, თუ ქალაქმა არა იღონა-რა და დროზედ არ გააწმენდინა აღნიშნული ადგილები, რადგანაც ისედაც დაზარალებულ მცხოვრებთ საშუალება არა აქვთ თავისთან გასწმინდონ.

⁂ როგორც ერობებს, ისე სხვა საზოგადო დაწესებულებებს მრავალი შუამდგომლობა აღუძრავთ მიწადმოქმედების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დართონ მათ დაარსონ სხვა-და-სხვა ადგილებში ქალთაოვის სასოფლო-სამეურნეო სკოლები. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, სამინისტროს სიხარულით მიუგებია ამ შუამდგომლობათა.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საქალაქო და სხვა საზოგადო დაწესებულებებთან განსაკუთრებული საკონტროლო განყოფილებანი დაარსდეს. ამ განყოფილებათ თვალ ყური უნდა ადევნონ იმას, თუ ქალაქისა და სხვა დაწესებულებათა კომისიონერნი როგორ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს.

⁂ გზათა მინისტრმა განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც გამომძიებელი სასამართლოს საქმეებისა გამო თანამდებობის აღსასრულებლად მიდის, რკინის გზები ვალდებულნი არიან უსასყიდლოდ წაიყვანონ პირველის კლასით.

⁂ 5 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ, განიხილა-რა საქმე ტფილისის ვაჭრის გიორგი სულხანოვისა (ბოლოვინის პროსპექტზედ ვაჭრობს), რომელსაც ყალბის სასწორისა და ქვების ხმარება ჰბრალდებოდა, 25 მან. ჯარიმა, ერთის თვით ციხეში დაპატიმრება და სამუდამოდ ვაჭრობის აღკრძალვა გარდაუწყვიტა.

⁂ გზათა სამინისტროს განკარგულებით, ყოველ წელს 1 მაისიდგან 30 სექტემბრამდე უსასყიდლოდ შეუძლიანთ მოგზაურობა რუსეთის რკინის გზებით დაბალ სასწავლებელთა იმ მოწაფეებს, რომელნიც მასწავლებელის ხელმძღვანელობით სამოგზაუროდ მიდიან ახლო-მახლო ადგილებში, არა უმორეს 50 ვერსისა, და აგრეთვე იმ სნეულ და ავადმყოფ მოსწავლეებს, რომელთაც საქელ-მოქმედო საზოგადოებანი საექიმოდ ჰგზავნიან წყლებზე ან სანატორიებში.

⁂ სამოლოოდ გარდაწყდა კითხვა თუ როდის აიკრძალება დრამატიული წარმოდგენები: ათ-თორმეტ დღესასწაულთა წინა ღღეებში და დიდ მარხვის 1-ლ, მე-4 და მეშვიდ კვირეებს განმავლობაში; წელიწადში სულ 38 დღე.

⁂ ზუგდიდის საერთიერთო კრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიტისათვის ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკს 3,000 მან. კრედიტი გაუხსნია.

*** როგორც გვატყობინებენ, თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლა და გამოცდა 27 მაისს დასრულებულა. ხსენებულ სასწავლებელში წელს სწავლა დაუმთავრებია სულ 14 მოსწავლეს. აი მათი გვარები: ხვედაბურიძე, მარკოზაშვილი, ბოჩორიძე, ზაუტაშვილი, ნაცვლიშვილი, კალატოზიშვილი, ჭრელიშვილი, ნატროშვილი, მთვარელიშვილი, გარსიაშვილი, ქიტიაშვილი, კოლოკაძე, კობიაშვილი და მოლოდინაშვილი. ამათში პირველ მოწაფედ დაესრულებია ხვედაბურიძეს, რომელიც სასწავლებელსაე გამოუგზავნია ტფილისის სასულიერო სემინარიაში; დანარჩენთ ყველას ნება ეძლევა ჩამოვიდნენ და ტფილისის სემინარიაში ეგზამენები დაიჭიროს.

*** გაზ. „ცნ. ფურ.“-ი სწერს: ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია, სხვითა შორის, 30 მაისს ქალაქ თელავში ნადირაშვილის საქმე. ნადირაშვილი 19 წლიდგან დაპერილია. 16 წლის განმავლობაში ბორკილი არ მოსცილებია, ოთხი წელიწადი კატორგაში გაუტარებია, იქვე რამდენიმე ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია (2 კაცი მოუკლავს) და სახალინის კუნძულიდგან გამოქცეულა. მოსულა საქართველოში და თიანეთის მაზრის ერთ სოფელში დასახლებულა და კალატოზობა დაუწყია. 6 თვის შემდეგ გაუგიათ და დაუჭერიათ.

ამ ტუსაღს ისეთი შეხედულება აქვს და ისეთი ზორბა ტანისაა, გეგონებათ ერთი დღე ციხე არ უნახავსო, ისეა ფერითა და ხორცით სავსე.

ოლქის სასამართლომ 30 რიზგის დარტყმა, 12 წელიწადი გამასწორებებელ პატ. რაზმში ყოფნა და შემდეგ სახალინში საუკუნო კატორგა გარდაუწყიტა.

*** ამ ჟამად ქალაქის გამგეობაში შემუშავებულია თურმე პროექტი იმისა, რომ ქალაქის მცხოვრებთა ადრესების გასაგები სახლი და მეკარეების ინსტიტუტი დააარსონ. ქალაქის გამგეობა ამის შესახებ თავისს მოხსენებას ქალაქის საბჭოს საზოგადოებრივ სეზონის დაწყებამდის თურმე წარუდგენს.

*** განზრახავა თურმე აქვთ კავკასიაში საკარანტინო ფერშლების რაცხვი გაამრავლონ.

*** 27 მაისს პეტროვსკ-კავკავის გზაზედ მატარებლების დაჯახების დროს 20 ვაგონი სრულიად დამტვრეულა, 6 კაცი მომკვდარა და 5 მძიმედ დაშავებულა.

*** როგორც საინგილოდგან გვატყობინებენ, მოსავალს კარგი პირი უჩანს, თუ ახლა ალარაფ დაეზიანა.

*** ბათუმის ოლქიდგან გვატყობინებენ, რომ იქ მოსავალს საკმოდ კარგი პირი უჩანს. ფუთი სიმინდი ამ ჟამად 45—50 კ. ფასობსო.

*** დ. ყვირილის ზოგიერთ მემამულეს ჯერ ოფიციალურად ეცნობა შე შუამდგომლობა დაუწყია, რომ ის მიწები, რომლებიც რკინის გზის საჭიროებისათვის ჩამოერთვათ, უკანვე დაუბრუნდეთ.

*** ახლად გამოცხადებულ იქმნა წესი, რომლითაც ბებიობის უფლების მიღება შეიძლება. ამ წესით, ბებიისათვის ორი სხვა და სხვა ხარისხია მიდებული. პირველი ხარისხის ბებიებს შეუძლიანთ იმსახურონ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებაში, შტატისა და შტატ გარეშე ადგილები ეპიროთ, მეორე ხარისხის ბებიებს-კი ამისი უფლება არა აქვთ. პირველი ხარისხის ბებიობა ეძლევა იმათ, ვინც საბებიო სასწავლებელში საუკეთესოდ ისწავლის და დაიჭერს ეგზამენს, მეორისა—იმათ, ვინც საბებიო სკოლაში დაიჭერს ეგზამენს. აღნიშნული უფლება ეძლევა აგრეთვე იმათაც, ვისაც დასახელებულს სასწავლებელში არ უსწავლია, მაგრამ გამოცდის დროს შესაფერს ტეორეტიულს ცოდნას გამოიჩენს. რიგი და წესი აღნიშნულს სასწავლებლებში მიდებისა და გამოცდისა უნდა სამკურნალო საბჭომ შეიმუშაოს და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცოს.

*** ფოთი. ორშაბათს, 31 მაისს, ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში, ფოთის საკათედრო ტაძრის ამშენებელი კომიტეტს კრება ჰქონდა ინჟინერთა და მცოდნე პირთა გარდა კრებას დაესწრო განგგე ამ საქმისათვის ჩამოსული ცნობილი მხატვარი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის წევრთ-საკავის გამგე ბ-ნი ბ. გ. ბერენშტანი, რომელმაც ამ დღეს კრებას სხვა-და-სხვა სტილზედ აგებულ ტაძრების გეგმა წარუდგინა. მათ შორის კრებამ განხილვის შემდეგ ქართული სტილი მოიწონა, როგორც ხუროთ-მოძღვრების მხრივ ხელოვნებით შემკული და ყველაზე ულამაზესი. შემდეგ კრებამ მიანდო ბ-ნ ბერენშტანს დაწვრილებით ხარჯისა და გეგმის შედგენა კრების მიერ მოწონებულ ქართულ სტილზედ ასაგებ ტაძრისა, რომელიც ენკენისთვისათვის უნდა იყოს მზად, რადგან ამ დროისათვის ქალაქი ტაძრისათვის საძარკველის ჩაყრას აპირებს. ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენადა და გეგმის შესამუშავებლად კომიტეტი ბ. ბერენშტანს 5000 მ. აძლევს.

*** იქიდანვე. ამ დღეებში ქალაქის სასწავლებელში ორჯელ იყო გამართული სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. პირველად საყურებლად მიწვეულნი იყვნენ ადგილობრივ სკოლების მოსწავლენი და მეორედ მიიპატიჟეს ქალაქის საპატიო მკვიდრნი. პროგრამმა მეტად საყურადღებოდ იყო შედგენილი და საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა. პატარა ყმაწვილებმა საუცხოოდ წაიკითხეს ქართულს ენაზედ ლექსები.

*** კნ. ნინო ალექსანდრეს ასულს ბეგთაბეგოვისას, თანხმად მისის განსვენებულის ძმის ანდრეძისა, ტფილისს მისეულს საავადმყოფოსათვის 1,000 მან. გუბეზნია ამ აზრით, რომ საავადმყოფოს უფროსმა ექიმმა ეს ფული, ეგრისულ წელთა მაგალითისაებრ, ამ ადგილთა ღარიბთა ღარეგოს, რომელნიც განკურნვასა შემდეგ საავადმყოფოდგან გაიწერებიან ხოლმე.

*** ქალ. გუმბრი. 2 თებერვალს აქ ერთი შემძრწუნებელი ამბავი მოხდა: ნაშუადღევის სუთ საათზე გენერალის ქეზეზედ კრთობეტოვის სახლში, ქალ. თბილისში მცხოვრებმა სულიანმა ბ. გ. დანით ეფიმ გამოსაშვრა თავისს ცოლს. მეგლელი ამაკე დღესვე შეაპყრეს და დასაპატიმრეს; მიზეზად მეგლელობასა ცოლის ღალატს ასახავენ.

*** 31 მაისს ექვსის წლის განმავლობაში პეიფურაში სამრეწველო ბოქაულად მყოფს ბ-ნს არდაშვილს გამოსათხოვარი სადილი გაუმართეს, რომელზედაც თავ. დ. ლეონიძემ შაი ქვის მეწარმოებელთა სახელით მეწენიერი ფიდნისი მიართვა ვერცხლის ჯიქონი და სურითურთ.

*** სადგ. სალიეთიდგან გვატყობინებენ, რომ 6 ივნისს დღე ბეიფურის მე-3 ვერსტზედ ორთქმავალიდგან გადმოვარდა ახნ. წერეთელი. ბატარებელი მაშინვე შეაჩერეს. წერეთელი მსუბუქად დაშავდა. დაშავებული სადგ. სალიეთში წაიყვანეს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲛᲔᲢᲘᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲜᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲓᲒᲐᲜ.

ამხანაგობის დაარსების დღეს, 1895 წლის 3 თებერვალს, ნოტარიუსის პირობაში მოჰქუნენ ამხანაგობის დამაარსებლებად: ერთი თავადი, სამი მღვდელი, ოთხი მასწავლებელი და თექვსმეტი გლეხი; ამათგან ოთხი დედაკაცი და თორმეტი მამაკაცი—სულ 24 კაცი. ამხანაგობამ მოქმედება ნასესხი ფულით დაიწყო და თესლი იყიდა რვაასის მანეთისა. თებერვლიდგან მაისის გასულამდის, ვიდრე პარკი შემოვიდოდა, ორასზე მეტი წევრი ჩაეწერა ამხანაგობაში ორასის თოფნის შემოტანით. ესენი იყვნენ უმეტესად კუს-გუბის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის წევრნი, მცხოვრებნი კუხისა და ხონის საზოგადოებაში და ხონის ვაჭრები. ამ წელს საზოგადოდ კარგი მოსავალი იყო პარკისა. ამხანაგობისაგან გაცემულმა თესლმაც თავი ისახელა. პარკის გასახმობი ფარდული რომ საკმაო ჰქონოდა ამხანაგობას (იყო სულ 30 არშინის სიგრძე და 12 არშ. სიგანე), პარკის წილში დდებით დიდძალ წევრს შეიძენდა, რადგან ამხანაგს ფუთს პარკში აძლევდა 10 მანეთს, ხოლო არა ამხანაგს—საზოგადო მაზანდის ფასს (8 მანეთს). მაინც პარკობის დროს, ორასი ახალი წევრი-მეაბრეშუმე მიიღო ამხანაგობამ. წლის ბოლოს 1896 წლის 1 მარტისათვის, წილის ფული ავიდა 5,143 მანეთამდე. ამ წელს ამხანაგობამ იყიდა სულ ცხრა ასი ფუთი პარკი. ოთხას თუმნამდის ისესხა ფული ამისათვის კერძო კაცთა და კუზის ბანკისაგან. ამ წლის მოქმედებამ სამას თუმანზედ მეტი წმინდა მოგება მისცა ამხანაგობას. წევრთ მიიღეს 30% დივიდენდი. ამ უზომო დივიდენდის დარიგებამ შემოდგენი ფეხი წაეკვრევინა ამხანაგობას და კინაღამ საგანს დაეშორა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოდ მოვილაპარაკებთ.

1896 წელს, თუმცა ამხანაგობამ პარკის სახმობი ფარდულები ერთი სამად გაადიდა (100 არშინი), მაგრამ მაინც სანახევროდაც ვერ დასტია პარკი. მოსავალი წინა წელთან შედარებით დიდ-ძალი იყო და ფასიც შესამჩნევად დაეცა. ამხანაგობაკი ისევ წინა წლის ფასს აძლევდა ამხანაგებს (ძველ წევრთ ფუთში 10 მ., ახლებს 9 მან.). ვინაიდგან საზოგადო მაზანდა ექვს ბანეთამდის დაგარდა, ამხანაგობას მრავალი მეაბრეშუმე მოაწყდა, რომლებიც ძალაუნებურად უარით გაისტუმრა. პარკობის დროს მაინც ვშიდას თუმანზე მეტი წილის ფული შემოვიდა პარკის შემოტანით, ხოლო სულ ამ წელს ათასზედ მეტი პაი გაიყიდა (10,810 მანეთისა). ამითგან სამასზედ მეტი პაი იყიდეს არა-მეაბრეშუმეებმა, უფრო ვაჭრებმა (ხონელმა, ქუთაითურმა, ბათუმელმა), წინა წლის 30% წაქეზებულებმა. ამ წელს ამხანაგობამ იყიდა სამი ათას ფუთზე მეტი პარკი (ერთბაშად, წინა წლის 900 ფუთიდგან 3,000 ავიდა). ამ წლის ამხანაგობის მოქმედებას სული ჩაუდგა და ამხანაგობაც საბოლოოდ ფეხზედ დააყენა დიდად პატიცემულმა თავადმა დიმიტრი მაჭუტაძემ, რომელმაც ათასი თუმანი ასესხა ამხანაგობას. აგრეთვე ჩვეულებრივად ფულით, თუ თამასუქების თხოვებით ხელი მოუმართეს ამხანაგობას ხონის ვაჭრებმა, კუს-გუბის ბანკის გარდა, რომლის თავდებობითაც ჰშოულობს ამხანაგობა ფულს დაარსების დღიდგან დღემდე. ამ წელს იყო, რომ სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება შეჰპირდა ამხანაგობას პარკის გირაოს ქვეშ ფულის მოხერხებას სოფლის ბანკების თავდებობით. ამხანაგობამ ყოველი ს.ბ.ეთის ქალაღი წარადგინა (სხვათა შორის, თავდებობა კუს-გუბისა და გოჩა-ჯიხაიშის ბანკების საზოგადო კრებებისა) და სწორედ იმ დროს მიიღო უარი პეტერბურგიდგან, როცა „დანა და ყელი ერთად იყო“, როგორც ჩვენში იტყვიან. სწორედ ამ დროს დაეხმარა ამხანაგობას თავადი მაჭუტაძე. ამ გვარივე დახმარება აღმოუჩინა ამხანაგობას ექიმმა გერლეკიმ (4,000 მან. ასესხა).

ამ წელსაც ამხანაგობის გაცემული თესლი კარგი გამოდგა, მაგრამ ვინაიდგან ნისიად იყო გაცემული და პარკი ყველასაგან ვერ მიიღო, 800 მანეთამდის თესლის ნისია დარჩა აუღებელი. წინა წელს ამხანაგობამ ხმელი პარკი გაჰყიდა 43 მ. 50 კ. ფუთი, ხოლო 1896 წელს 37 მ. და 70 კ., ესე იგი ფუთზედ ექვს მანეთამდე დაეკლდა, მაგრამ მაინც ამხანაგობას ოთხას თუმანზედ მეტი წმინდა მოგება დარჩა. დივიდენდად შეხვდათ წევრებს 20%. ამ წელს ორი კრება მოხდა—მორიგი და საგანგებო. სარევიზიო კომისია ამხანაგობისა ოპოზიციისაგან შესდგა, სამის მაგივრად ექვსის წევრისაგან. ამხანაგობის ანგარიშები ხელ-ახლად გადასინჯულ იქმნა და მეორე კრებამ დაამტკიცა შეუცვლელად, როორც წარმოდგენილი იყო პირველ კრებაზედ.

ორმა ზედი-ზედ მომხდარმა კრებამ და ამხანაგობის წევრთა სურვილთა გათვალისწინებამ ამხანაგობის ხელმძღვანელთ დაანახვა, რომ „დივიდენდების გადევნებას“ შეეძლო ამხანაგობა საგნისათვის დაეშორებინა და ემოქმედებინა იმ წევრთ-მეაბრეშუმეთა საზარალოდ, ვინც წინანდელ მოსაზრებით თავისთვის დაიარსა ეს ამხანაგობა მოსაგებად ფულისა პარკის მომხმარებელთაგან და არა მომწევთაგან. ამხანაგობის პირობის ერთი მუხლი ამბობს: ამხანაგობას შეადგენენ მეაბრეშუმეები და აგრეთვე არა-მეაბრეშუმეები, ვინც თანაგრძნობს ამ წარმოების „აძღიერებისა“. ეს მუხლი პირველ მუხლებთან ერთად, სადაც გამოთქმულია საგანი ამხანაგობისა, თავიდგანვე ცხადად აჩენებდა, რომ აქ მეაბრეშუმეები პირს ჰკრავდნენ“, რომ, რაც შეიძლება, მეტი სარგებლობა ენახათ პარკის მომხმარებელთაგან, ანუ იმ ხალხისაგან, ვინც აბრეშუმეულობას ასაღებს. ზოგიერთებს-კი, ვისაც უნდოდა, რომ თავისი წილის ფული პირის-პირ მოეგო პარკის მომწევე-გამყიდველისაგან, მეაბრეშუმესაგან, ქვეულ-მოქმედებად მოეჩვენა ამხანაგობის მოქმედება, მაშინაც-კი, როცა 2% დივიდენდი მიიღო, ვინაიდგან ადვილად შეიძლებოდა ოცის მაგივრად 60% მიეღო დივიდენდი იმ წელს, თუ-კი დაწეულ მაზანდით იყიდდა ამხანაგობა პარკს.

აი, რა მდგომარეობით მივეგებენით 1897 წელს: საზოგადოდ მთელის ეუბერნის მეაბრეშუმეები 1896 წელმა დაადონა, რადგან შრომის ფასი ვერ აიღეს პარკში. რამდენადაც ამხანაგობის წევრთ ასცდათ ეს საზოგადო უიღბლობა, იმდენად მეტ-დრო კავშირი დაიჭირეს იმათ ამხანაგობასთან და საზოგადოდ გაითქვა სახელი ამხანაგობამ, როგორც მეაბრეშუმეთა ინტერესების დამცველმა. ამხანაგობის ხელმძღვანელთაც უფრო ნათლად დაეხატათ პროგრამმა თავიანთის მოქმედებისა. ამ გარემოების ხელის შემწეობად გამოდგა მაშინ ახლად გამოქვეყნებული ნორმალური წესდება ამ გვარ ამხანაგობათა, რომელშიაც მწარმოებელთა ინტერესებს უმთავრესი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ამის შემდეგ წილის ბარათების გაყიდვა თითქმის შეწყვეტილ იქმნა ქალაქ ადგილებში. მოქმედება 1897 წლისა, თუმცა პარკის ფასმა აიწია, მაინც საზოგადოდ უსიცოცხლო იყო, რადგან მოსავალი ნაკლები იყო წინა წელთან შედარებით. წინა წლის ბოლოს (თუთის) სიძვირემ და პარკის სიიაფემ ბევრი შეაბრეშუმე გააჩერა—აცა, იქნება ხელის გაუნძრევლად, ბოლის გაყიდვით, ავიღო ის ფული, რაც შარშან პარკში ძლივს ავიღეო. თუ წინა წელს (1896) ერთობ წინ წავიდნენ მეაბრეშუმეები, 1897 წ. შესამჩნევად დაიწიეს უკან. სამაგიეროდ, შემდეგ, 1898 წელს, ძალიან ისარგებლეს..

1897 წელს ამხანაგობამ მოიპოვა კრედიტი სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის ახლად დაარსებულ განყოფილებაში და სარგებლობს მას შემდეგ. ფულის მხრივ ამხანაგობას დაბრკოლება არა ჰქონია, ფარდულებიც წინა წლებში გამოცდილმა ბევრი დაამზადა (170 არშინი), მაგრამ მოსავლის სიუცტავისა გამო სულ 2,600 ფუთი იყიდა. ფუთში 11 მანეთი მისცა ამხანაგსაცა და არაა-ამხანაგსაც. ამ წელს გაიყიდა 3,116 მანეთის პაი, სულ მეაბრეშუმეებზედ. პარკი გაიყიდა, როგორც წინა წლებში, ადგილობრივ, მაგრამ წინა წლისაზედ ექვსი მანეთით უფრო ძვირად, ესე იგი 43 მან. 50 კ. ფუთი. როგორც ყოველთვის, როცა მოსავალი მცირეა და ბეოლა სპარბობს, პარკს ღირსება ემატება, ამ წელსაც პარკი საუცხოვო გამოდგა. ამხანაგობას ხუთას თუმანზედ მეტი წმინდა მოგება ჰქონდა, რომელიც ასე გაანაწილა: 10% მისცა დივიდენდად პაების პატრონთ და 6% დივიდენდად საქონელს (პარკის პატრონ წევრს პარკზედ დამატებით ფასი, ანუ პრემია მიეცა). ეს აზრი დამატეკა მორიგმა საზოგადო კრებამ და ამით იმ ჟამად ბევრი არა-მეაბრეშუმე ამხანაგი მოიმოეურა. ამით გაასწორა ამხანაგობამ ძველი „დაუკვირვებლობა“, ანუ შეცდომა. ერთში მართალნი იყვნენ არა-მეაბრეშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეები, როცა ამბობდნენ, რომ პარკის პატრონმა მთელი ფასი, რაც არსებობს პარკის ადგილობრივ გაყიდვის დროს, არ უნდა აიღოს იმ თავითვეო, უნდა დაუცადოს პარკის გაყიდვასაო. „შეცდომის“ გასწორებამ ამხანაგობის სხეულს ცოტა ჭირლობის ხაზი გაჭკრა, მაგრამ, როგორც ჯანმრთელმა სხეულმა, ამხანაგობამ ეს „ოპერაცია“ ადვილად გადიტანა. უფრო ძვირად დაუჯდათ ეს დაცვა ამხანაგობის პირდაპირის საგნისა ამხანაგობის ავ-კარგის ხელმძღვანელთა. მასაკი მიეცა ათას ჭორებს: „მოგვატყუეს“, „ჩაგვიფრიეს“, „გაგვძარცვეს“ და სხ.

1897 წელმა თავისის მცირე მოსავლითა და ბეოლის მოუბმარებლად დატოვებით ერთხელ კიდევ ცხადად დაგვანახვა, თუ რა შედეგი მოსდევს წარმოებისათვის, როცა მწარმოებლები შრომის ფასს ვერ იღებენ, როგორც მოხდა 1896 წელს და, პირიქით, როგორ ძლიერდება წარმოება, როცა ნაწარმოები კარგ ფასად იყიდება, როგორც ეს მოხდა 1898 წელს. ეს, 1898 წელი, დიდხანს არ დაავიწყებთ მეაბრეშუმეებს, როგორც არ დაავიწყებთ 1899 წელი. რაც პირველმა შესძინა, ის მეორემ დააკლო, რამდენადაც პირველმა ჭაბალისა, იმოდენად მეორემ დაამარა და დაალინა, თუმცა ჭკუა კი ასწავლა. აი საქმე როგორ იყო:

1898 წელს მეაბრეშუმეებმა სწორედ იმდენი თესლი აიღეს, რამდენიც ბეოლა ჭქონდათ, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ხუთ მოსახლეში სამმა დაისყა აბრეშუმის ჭია. დანარჩენმა ორმა ამათ თავისი ბეოლა მიჰყიდა, ისიც ზომიერ ფასად (ორმა წინა წელმა შეიზავა ეს ფასი: 1896 წელს ბეოლა ძვირი იყო, სამგზეროდ 1897 წელს სულ არ იყიდებოდა). პარკის მყიდველთა მეტოქეობამ კიდევ ფუთი პარკის ფასი 14 მანეთამდის ასწია. ამხანაგობაც ამ ფასად ჰყიდულობდა ამხანაგთაგან, თუ არა-ამხანაგთაგან. ამ ნაირად, მეაბრეშუმეებმა გაუუირვებლად მოიწიეს მოსავალი და კიდევ უფრო გაუუირვებლად და კარგ ფასად გაჰყიდეს. სამაგიეროდ, მყიდველებს ცუდი ამინდი დაუდგათ. აქაურ ფასთან შედარებით, საზღვარ-გარეთ არ იყო ძველებურად სახეირო ფასები, ასე რომ აქაურ სხვილ ვაჭრებს წინა წლების მოგება საზღვარო ამბად გადაეცათ. ამხანაგობამ საქმე ადრე დაიჭირა მიწერ-მოწერით ერთ საზღვარ-გარეთელ კომისიონერთან და როცა შეახედა, რომ აქ პარკი სახეიროდ აღარ იყიდებოდა, მთელი საქონელი მარსელში გაგზავნა. სულ ამ წელს სამი ათას ფუთზედ მეტი პარკი ჭქონდა ნაყიდი ამხანაგობას, ანუ ხმელი ათასი ფუთი. აქვე რომ გაეყიდნა ეს პარკი, ზარალი არ მოუვიდოდა წლის მოქმედებიდგან და ერც მოგება ექმნებოდა. ახლა-კი ოთხას თუმნზედ მეტი წმინდა მოგება დარჩა (დივიდენდად დაარიგა 12%). მაგრამ თავი მოგება ამხანაგობისა ამ წელს ის იყო, რომ მან გზა გაიკვალა პარკის ბაზრისაკენ და აქაურ სხვილ ვაჭრებს, ვინც საზღვარ-გარეთ ეზიდება პარკს, გვერდში ამოუდგა. ამით ამათთან ბრძოლა ერთი ათად გაიადვილა. ეს ცხადად დაეტყო ამხანაგობის შემდეგს მოქმედებას.

გაათავა თუ არა ამხანაგობამ 1898 წლის მოსავლის პარკის გაყიდვა, მისი ხელმძღვანელი შეუდგა სოფლის ხალხის შეგროვებას სოფ. მაღლაკსა, ფარცხანაყანევსა, დიდ ჯიხაიშსა, ეწერსა, ღანირ-ქუტირსა, მუხაყრუასა და ბანძაში. თითოეულ ადგილს ორჯელ-სამჯერ მოხდა ყრილობა. ამხანაგობა ურჩევდა სოფლებს, რომ მათ თითონვე ეღონათ, ამხანაგობის დახმარებით, ადგილობრივ ფარდულების გაკეთება და სხვა. სოფლებმა დიდი სურვილი განაცხადეს ამხანაგობასთან ერთად მოქმედებისა. შეადგინეს და გაჰგზავნეს, სადაც ჯერ იყო, დასამტკიცებლად წესდება სასოფლო ბანკებისა (სოფ. მაღლაკმა, ფარცხა ნაყანევმა და ღანირ-ქუტირმა; ამათგან მარტო მაღლაკში არ გახსნილა ჯერ, სხვაგან-კი ჰმოქმედობს ბანკები). ფარდულები-კი 1899 წლის მოსავლისათვის ვერ მოასწრეს. მაგრამ ამ წელს სიტყვა-სიტყვით აუსრულეს ის, რასაც ამხანაგობა წინადვე ეუბნებოდათ. მხოლოდ ერთ ადგილს, ს. ფარცხანაყანევში, გაკეთა ამხანაგობამ თავისის ბარჯით ფარდული და შეუდგა იქ, ასე ვთქვათ, სანიმუშო მოქმედებას.

დადგა 1899 წლის გაზაფხული, რომელსაც, როგორც, მეაბრეშუმე, ისე პარკის მყიდველიც, ერთისა და იმავე მოლოდინით მიეგება: ერთიც და მეორეც მოელოდდა, —გავკეთდებითო. მეაბრეშუმემ ერთი სამად მეტი თესლი აიღო, ვიდრე წინა წელს. იქაც-კი მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს (შორაპნისა და რაჭის ბაზრებში, აფხაზეთში), სადაც დიდი ხანია მიეყენებული არის ეს წარმოება. პარკის მყიდველი დიდ მოსავალს მოელოდდა შარშანდელი ჭკუა ნასწავლი ემზადებოდა დინჯად შესდგომოდა პარკის ყიდვას, არ აეწია ფასები: „სჯობს ცოტა და იაფად ვიყიდო, ვიდრე მევრი ძვირადაო“... დიდი განსაცდელი გამოსცადეს შარშან მეაბრეშუმეებმა: ჯერ ბეოლა „მამასისხლად“ იყიდეს და „გადაჰყვნენ“ პარკის მოწევას, მერმე ეს პარკი გაუიაფდათ... წარსულის წლის ფასიც აღარ იყო, როცა პარწი ერთი ათად იაფად უჯდათ. გაუკირდა სოფლის ძვირად დამჯდარ საქონლის იაფად შელევა და ათას ღონისძიებას მიჰმართა; განაჩენი დაადგინეს (დიდ-ჯიხაიშში), არ გაეყიდნათ იაფად, არამედ თითონვე გაეზმოთ; საზოგადო საორთქლავი გააკეთეს (ხონში). ეხლა-კი გაახსენდათ ამხანაგობის ადრე ნარჩევი ფარდულები, მაგრამ გვიან-ღა იყო. სწორედ ახლა გამოადგა ამხანაგობას ცოდნა საზღვარ-გარეთის ბაზრის მდგომარეობისა და იქაურის პირობებისა. მან გამოუცხადა მეაბრეშუმეებს, რომ 14—16 მანეთის მოცემა შეგვიძლიან ფუთ პარკში, უკეთუ ამხანაგობასთან ერთობას დაიჭერთ, დღეს ფუთ პარკში ათ მანეთს დასჯერდებით, ხოლო დანარჩენს გაყიდულობის შესაფერად მიიღებთ მარსელში პარკის გაყიდვის შემდეგ. ყველა წევრი—მეაბრეშუმე დასთანხმდა. კერძო მყიდველებმაც ჩაბარეს ამხანაგობას პარკი ნარდად ზემოხსენებულის პირობით. ამ ნაირად, ამხანაგობამ დაამზადა სულ 6,200 ფუთი პარკი (ნედლი). 1896 წლის შემდეგ პარკის შემოტანით ამდენი ახალი წევრი არ მუდია ამხანაგობას. 1898 წელს საეკლესიო ფული ახალ-წევრთაგან შემოვიდა სულ 797 მანეთი. 1899 წელს კი—4,109 მანეთი. სოფელმა დიდ-მა ჯიხაიშმა, თუმცა იქ ამხანაგობას სახმობი ფარდული არ ჰქონია, მაინც იძალა, დროებით სკოლებში მოათავსა პარკი და ადგილობრივ ბანკისა, თუ სკოლის ხელ-მძღვანელთა დახმარებით, ექვსას თუმნამდე ღირებული პარკი დაუგროვა ამხანაგობას. ათას ფუთამდის პარკი ფარცხანაყანევში დამზადდა. ას-ასი ახალი წევრი შემოვიდა ამხანაგობას ამ ორის საზოგადოებიდგან.

ამხანაგობის მოლოდინი აღსრულდა: პარკი საზღვარ გარედ გაიყიდა კარგ ფასად და ამხანაგთ დაურიგდათ დამატებითი 6 მანეთი ფუთზედ, გარდა სხვა ასის თუმნისა (8,064), რომელიც წმინდა მოგებად დარჩა ამხანაგობას.

თუ, საზოგადოდ, შარშანდელის წლის შემთხვევით „წელ მოწყვეტილი“ მეაბრეშუმეები ახალ 1900 წელიწადს ვერ შეეგებნენ ხალისიანად და თესლი ბევრი არ წაიღეს, კერძოდ ეს არ ითქმის ამხანაგობის წევრთა შესახებ და აგრეთვე იმათსა გამო, ვინც ამხანაგობის ხელ-მისაწვდეწ ადგილ-მიდამოშია მოთავსებიანი ამათგანი ვინც ამხანაგად არ არის, წელს ემზადებიან ამხანაგად შემოსვლას, რადგან ამხანაგობამ ადგილობრივი გაუმართა იმათ პარკის სახმობი. ამხანაგობამ მეტის-მეტად ადვილად გაასადა წელს ნადდ ფულად 8,000 კოლოფამდის თესლი, რომლიდგანაც ელის საშუალო რიცხვით უკანასკნელს ოცი-ათასს (20,000) ფუთს პარკს, რომელსაც, რასაკვირველია, მარტო თითონ ვერ დაიტეგს, თუმცა, სოფ. კუხის გარდა, პარკს იყიდის ს. მაღლაკსა, ფარცხანაყანევსა, დიდ-ჯიხაიშსა, ღანირ-ქუტირსა, ხონსა და მათხოჯაში. ყველა ამ ადგილში, მაღლაკს გარდა, სასოფლო ბანკებია, რომელთა ხელ-მძღვანელნი მეაბრეშუმეთა ამხანაგობასთან თანხმობით ჰმოქმედებენ და ამით იმავე საზოგადოების სურვილს ასრულებენ, ვისაც ეკუთვნის ბანკია და აბრეშუმის მოსავალიც.

ნ. ფ.

ბ-ნ პ. სურგულაძის მამლაყინწაობა.

„Все кажется намъ ошибкой
въ другихъ,
А примешься самъ,
Такъ напроказишь вдвое хуже“.
Крыловъ

მოგეხსენებათ, რომ ქუთაისი მუდამ იმის ცდაშია, საქართველოს დედა-ქალაქს, ტფილისს, არაფრით ჩამორჩეს. სხვათა შორის, აქამდის ერთი რამ აკლდა: უყორდნინობა ძალიან ეტყობოდა. ქუთაისი მოკლებული იყო ისეთს დევ-გმირს და მეტნიერ მწერალს, „მტრისა რისხვისა დამცემს“, როგორიც არის ბ-ნი ნ. ჟორდანია. მაგრამ ღმერთმა მოწყალე თვალით ქუთაისსაც გადმოხედა და ნ. ჟორდანია სურგულაძის სახით მოუვლინა. ბ-ნი ჟორდანია ხომ კი ხანია ტფილისში თამაშობს წაჯელ-უკუჯიქობას, ბ-ნი პ. სურგულაძე, ვითარცა ღირსეული მოწაფე მისი, ქუთაისში იწყებს ამ თამაშობას. ღმერთმა ხელი მოუმართოს, იაროს ამ თავისუფალ გზაზედ, გაუტიროს ხან აღმა და ხან დაღმა, რამდენიც უნდოდეს: წინ არავინ გადაეღობება. „ივერიის“ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ბ-ნმა პ. სურგულაძემ 5 მარტს თავი ისახელა ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის სხდომაზედ შესანიშნავის განცხადებით. ახლა „კვალის“ მე-18 №-ში იგი ჩივის და იგინება, რომ თურმე მისის აზრის სიღრმეს ვერავინ მიხვდა: ვერც იქ დამსწრე საზოგადოება, ვერც „ჩიორა“ და ვერც სხვანი. ქება და დიდება სიღრმესა და სიდიადესა ბ-ნ სურგულაძის აზრებისას! გუნდრუკი, გუნდრუკი უნდა ვუკმიოთ ამ აზრების პატრონს, თორემ შემდეგ აღარას გვეტყვის. მერე იცით, რა უქნიათ მისის ზმიდს მისწრაფებათა და მადლიანს აზრებისათვის? დაუმახინჯებიათ, გაუკარწყლებიათ. მერე სახუმრო საქმე ხომ არ არის, რომ ასეთი დიდებული აზრი დამახინჯდეს! გულ-მოსასვლელი საქმეა სწორედ. აკი კიდეც გული მოსვლია ბ-ნ სურგულაძეს და აი რას ამბობს „კვალის“ იმ ნომერში:

„...„ივერიამ“ დღეს მოდათ შემოიღო სხვისი აზრის დამახინჯება, სხვისი მისწრაფებათა ყბადაღება და გაკარწყლება. ამ გზეთის სასაცილო საგნად გავმხდარვართ მე და ჩემი ამხანაგები (?). არავითარი სურვილი არ გვაქვს ამ გზეთს პოლემიკაში გამოვეცეთ და მის ზნეობრივ განძს შევეხოთ“.

რა საზიზღარი გაზეთი ყოფილა, მკითხველო, ეს „ივერია“, რომ გაბედა და ბ-ნ პ. სურგულაძის აზრის შესახებ თავისი შეხედულობა წარმოსთქვა! მართლა და როგორ გაბედა სურგულაძის დიდებულ მისწრაფებათა ყბადაღება და გაკარწყლება? განა არ იცოდა, რომ ამ მისწრაფებთა და აზრთა წყალობით რა მომავალი მოელის „ქუთაისის წიგ. გამომცემელ ამხანაგობას“?

წყალობას რომ მოიღებდეს ბ-ნი სურგულაძე და ამ მომავლის სურათს დაგვიხატავდეს, დიდად დაგვავალებს. ჩვენც გვინდოდა, ამ აზრთა და მისწრაფებათა წყალობით მოსალოდნელი ბედნიერება დაგვეხატა, მაგრამ შევშინდით, ვაი თუ ეს სურათიც ისე დავამახინჯოთ და გავაკარწყლოთ, როგორც მისი აზრი დავამახინჯეთ. ამის გამო უმორჩილესის თხოვნით უნდა მივმართოთ ბ-ნ სურგულაძეს, ისევ მან გაგვაბედნიეროს ამ სურათის დახატვითაც.

ბ-ნი სურგულაძე მოგვითხრობს, რომ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის საქმე 1897 წლიდგან მეტად ცუდად მიდიოდა, იგი სულს ჰღაფავდა და სურგულაძე კი „თვით სრულიად წმინდა აზრის და მისწრაფებათა პატრონი“, ქუთაისში ბრძანდებოდა, ამას ყველაფერს ჰხედავდა და გულ-ხელ-დაკრეფილი შორიდგან უცქერდა; წარმოიდგინეთ, აქამდის წევრადაც არ ჩაეწერა და საქმის მდგომარეობა საფუძვლიანად არ გამოიკვლია და არ შეისწავლა. კაცი ჰხედავდეს, რომ საზოგადო საქმე ხდებოდეს, სულს ჰღაფავდეს, შეეძლოს ამის გამობრუნება და სამის წლის განმავლობაში შორიდგან შეჰყურებდეს და უცდიდეს, მოიცა, ჯერ მთლად სული ამოხდეს და მაშინ გამოვბრუნებო? განა ვისაც „საზოგადოებრივი გრძნობის სიძლიერე აქვს“, როგორც ამას ხმა-მაღლა გაჰკივის ბ-ნი სურგულაძე, და არა ცალიერი ტრაბახობა, ისე მოიქცევა, როგორც მოქცეულა ამ შემთხვევაში ბ-ნი სურგულაძე? მაგრამ, ჩვენის აზრით, ბ-ნი სურგულაძე საზოგადო საქმის სიყვარულს კი არ გაუტაცენა, არამედ განდიდების სენს შეუპყრია და ჭსურს ქუთაისში ისე ისახელოს თავი, როგორც ნ. ჟორდანიამ ისახელა ტფილისში. ცუდი არ იქნებოდა, ბ-ნ სურგულაძეს მიემართა იმ ქართველის ექიმისათვის, რომელიც „კვალის“ ამავე ნომერში ახალ-მოსულსა სწამებს ზემოხსენებულს სენს. დალოცვილი ექიმი შორს რად მიდის, თავისს ახლოახლო მიიხედ-მოიხედოს, მე შენ გითხრა, ვერ იპოვის ამ სენით შეპყრობილთ. მაგრამ ამ ქართველ პუბლიცისტ-ექიმსაც აღარ გახსენებია გონიერი თქმულება, რომ კაცი თავისს თვალში დვირეს ვერა ჰხედავს და სხვისაში-კი ბეწვსაც ამჩნევსო.

ერთი დვრის გულისათვის ჭკითხეთ ბ-ნ სურგულაძეს, რა ღვაწლი მიუძღვის წარსულში საზოგადოების წინაშე, ან რა დიდის შესანიშნავის ნიჭისა და ცოდნის პატრონია, რომ გამოსულა საზოგადოებაში და ამბობს: საქმის პატრონი ვინცა ხართ, განზე დადექით, მე ამომირჩიეთ, თქვენი საქმე მე და ჩემს თანამოაზრეთ ჩაგვაბარეთ და გაჩვენებთ, რა ბიჭეცა ვარო! ან სად და რომელ საზოგადოებაში უნახავს ასეთი წესი, რომ კაცს მხოლოდ რომელსამე საზოგადოებაში წევრობის სურვილი განეცხადებინოს და მაშინვე მოეთხოვოს ამ საზოგადოებისათვის, მე დამაყენე შენის საქმის სათავეში, შენ მიბძანდი გარეთ, თორემ ისე საქმეს ხელს არ მოვკიდებო. აბა, ამისთანა უცნაურს განცხადებას სხვაგან სადმე აკადრებს საზოგადოებას ზრდილობისა და თავაზიანობის მქონებელი ადამიანი?

ხომ ყველა, ვინც ბ-ნ სურგულაძის მაღალ აზრებს და მისწრაფებას არ თანაუგრძნობს, მოგვირიდა და გამოაცხადა, რომ ჩვენ თქვენთან შრომა არ შეგვიძლიანო, ახლა უყურეთ რასა სწერს „კვალის“ ფურცლებზე:

„ჩვენი აზრით ყოველ საქმეში უნდა ვერიდოთ მხოლოდ ზნეობით მახინჯ ადამიანებს, ხოლო სიერთო კითხვებში, რომელთა რიცხვი მრავალია, მიმართულების გაურჩევლად ერთად ვიმოქმედოთ“.

ჩვენ კარგად ვერ მივხვდით, ვისა სთვლის ბ-ნი სურგულაძე ზნეობით მახინჯ ადამიანებად: ძველის გამგეობის წევრებს, თუ საზოგადოდ ყველა იმათ, ვინც ბ-ნ სურგულაძის პატარა, მაგრამ ბედნიერ წრეს გარეშე დარჩა?

მაგრამ ამას თავი დავანებოთ. სამეცნიერო გაზეთის ფურცლებზედ ქვევით უფრო მრავალი მარგალიტია განენული და იმათაც ამოვწერთ, რომ „კვალის“ მკითხველებთან ერთად „ივერიის“ მკითხველები დაეტაკოთ:

„მარა ყველა ამ მოვლენებში (რომელ მოვლენებში?) საყურადღებოა მათი საზოგადო ხასიათი. ჩვენში რაღაც ყვენობა შექმნილა. ერთი ჯერის წრეა, რომელსაც კერპები დაუშკვიდრებია და მათ გარეთ აღარას ხედავს (ვითომც მეც დამინახეთ, რა ბიჭი ვარო). თუ ამ წრეს მიეკედლეთ, მაშინ რა ზნეობრივი ზიანიც ულდა ჭკონდეთ, რამდენადაც უვიცი იყოთ, ნუ გეშინიანთ: ცხოვრებაში ყველა თქვენი მშველელია, ყველა თქვენი მომხრეა. მაგრამ ვაი თქვენ, თუ სხვა რაიმე აზრი დაგებადათ, თუ გადაცდით ამ წრის ფარგალს, აღარც ნდობა, აღარც პატივი. წასულია თქვენი საქმე. (ს)ინას, საზოგად ოვბრივი გრძნობა რადაც მონოპოლია(დ) შექმნილა... ᲔᲯᲒᲘᲛ

აწ�طططططط